

4
1966

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

ქართული
ბიბლიოთეკა

მოვიდინან შესაგოზლად ქვეყნით ყოვლნი
სულიერანი:
კლდით ნადირნი, ფყალშიგ თევზნი, ზღვით
ნიანგნი, ცით გოგინველნი.
ინდო-არაბ-საბერძნეთით, გაზრიყით და
გაღრიგულნი,
რუსნი, სპარსნი, მოზრანგნი და მისრეთით
გეგვიკატულნი.



№ 17-18 (1244) თბილისი, სექტემბერი 1966

სიქსუ

ბამოცემის 44-ე ფელი

ფანი 40 კაპ.

მეცნიერება-მეცნიერება

მომავალი პირები:
შოთა რაშთაძელი (800 წლის)
წინაწინ (44 წლის)
 სვენი წინადადებს „წინაგის“ რედაქციას. წინაგს ხელში უჭირავს წინადადი, რომელზეც წინაგისთვის უნდა იქნებოდეს შოთა. წინაგს „შორს უკუდგა, თავიანთსა, ქვემოთწამლის და უკუადღა“. შოთაა წინაგისა და გაუცხია.

წინაგის (განარბებულო): „აჲ ვაჲდ შობენ, გემა ნაგვა შენისა პირისა“.

შოთა: „გამა დობოთი“
წინაგის: „ბატონო შოთა, თუ არ შეწუხდებით, გთხოვ რამდენიმე კითხვას მისაუბროთ!“
შოთა: „სიამოვნებით. აჲ არ მუცლით განაგებ დღისათვის კენად სანაონო შობილია“. ბრძანეთ!

წინაგის: „მიხარის თქვენი ნაწვლით ვაჲრი, სახელი და მამის სახელი!“
შოთა: „ბოდიში, მაგრამ მთელი სიცოცხლე ვმალავთ და ვერც შენ კავშირზე!“
წინაგის: „სად ასაღლავებინარ?“
შოთა: (გაეჩივებულა): „ცლუ“

ხალი კაცის საფლავი გაფინოლა!
წინაგის: „მამატი, უკვადო შოთა!“
შოთა: (ღიმილით): „მიბატე ბიბი“

წინაგის: „თამარ შედე მართლა გუყვარდაო?“
შოთა: (წილილებს): „გიხობო, მაგ თემაზე მე შელაპარაკებო!“

წინაგის: „საქართველოს მწერალთა კავშირში ამაჲდ 380-მდე წევრი გავრთიანებულე. რას იტყვით ამის შესახებ?“
შოთა: (ღიმილით): „გვ არაფერი! პირველად ჩვენც მადგინე ეწყობო.“

წინაგის: „რა აზრის იყო თამარ შედე თქვენი „ეფუხისტუასიანე“?“
შოთა: „ამბობდა, თუ ჩემზე დაწერილი, სუსტი, და თუ სხვაზე — არა უფრო.“

წინაგის: „წაქვენი ზომ არა ხართ თეორიულ მჭირზე, პოეტობაში რომ ეგვიზიზნებაო?“
შოთა: „თეორიულზე იძლედა ანა, არილი მეფეზე კი, — რა მისი დავეა მჭირდობდა!“

წინაგის: „რა აზრის მამაწვლები ჩვენს ახალგაზრდა პოეტებზე?“
შოთა: „როგორც ისინი ვერ

იგებენ ჩემი პოემის ზოგიერთ ადგილს, ნუ ეწყობებოთ და, ვერც მე ვიგებ მათ ზოგიერთ ადგილს.“

წინაგის: „მეფრთი თუ არა თქვენი პოემის რუსული და უსხური თარგმანები?“
 (მეფრთეზე) „მან არა განსცვა პასუხი პირისა მხრისა (ღარითა)“.

წინაგის: „მოწონო თუ არა ჩვენი მხატვრების დახატული თქვენი პორტრეტები და „ეფუხისტუასიანის“ ილუსტრაციები?“
შოთა: „მსგავსი ყველა იმსგავსი შობს, მეს ბრძენთაგან თქმულია“.

წინაგის: „თანამედროვე ქართულ კრიტიკოსებზე რას გავტყობდით?“
შოთა: „დღისა ვერც მოკვლევე, ხელო დავეს ხოცა ნადრთა მტყეფი“.

წინაგის: „თქვენ დრის, როგორც ვიცო, ჰომორონი არ იყო. ზოგიერთი ჩვენი მწერალი, ჰომორონი გულხსივს, ხალხურაზე გადსულთ. რა აზრის ხართ ამაზე?“
შოთა: „(მეწაფრედა): „გაეცინა, გაუტკობო მტრად

კიდე“): „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლიერე“.

წინაგის: „რას იტყვით თბილისის დანამოვლების წლებადღებ თამაშებზე?“
შოთა: (ნაღვლიანად): „რა აფუყინო, რა შეეცულონო, რად დავგყვარანა, რად გავწერინანა“.

წინაგის: „რა აზრის ხართ ვაჲ ფიტესტაჲზე, როგორც კარგავთარბებზე?“
შოთა: „მხოლოდ დრის, სხვაგანა მჭირს მისი გონება, მისმან თავისა წოთამანა“.

წინაგის: „კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი საიუბილეო ღებდით?“
შოთა: „მამინე ლინი ამო არის, მამა დრის დრის კაცი ჭირისა“.

წინაგის: „ხალხობის უღის შობას და შედეგება სახანდო დარაზში, ხალხი მგოსანა მძღედებს, იმგოსანა ხმამა მძღედებსა ტკბილია... ბინადის ცესკამდის სმინიყო, გარდახდა ეჲმი დრისა“.

უჩაღი უჩაღისა ჟესიანე


პატივმოყვარე კოლეგა: ამ იუბილესთან დაკავშირებით უნდა გეწავილოთ თქვენი „ეფუხისტუასიანი“. ნიჭიერი მწიფრია.

ახლა ამ მინტეტიესზე: თქვენი ლიტერატურული მწიფრისა მისი ერთ გამოცემაზე, ასევე თარგმანზე, ჩამოყვარე-არაღმდებელი დასაინტერესო. შეუსწავლოთა მშობლად ეთიო საბოთი: როგორ მიაღწიეთ ასეთ ფართო პოპულარობას ერთი ლექსის ავტორმა. (ერთი ლექსის საბოთი წვეტი ხშირად ვმართავთ). გადაწყვიტეთ, ეთიუმო ამ თემაზე და გთხოვო მიაღწიეთ შედეგ კითხვებზე:

1. იყავით თუ არა მწერალთა კავშირის მჭირი?
2. მართავდა თუ არა ვასმევის კრიტიკოსების პატივმოყვარე?
3. დავიღობა თუ არა რედაქციუმში ცა თვლიდა თუ არა წაღნობ რედაქციუმში, დაეჭვადია რეკონსტრუქციის თქვენი შესახებ?
4. იყავით თუ არა დილიდან საღამომდე მწერალთა კავშირის მატლი და თამაშობდა თუ არა ჭარბანს?
5. რამდენჯერ გაცვთ აფხული მწიფრელებით მავლინება და ფეჲლთაჲს გზავნიდა თუ არა მავლინების აგვილზე მავლინების მწიფრისა განამეფელებად?
6. მუცლინდა თუ არა განსხვავდა თუბილეს განმართვის შესახებ ბუღლებზე თეგანობილი ერთი წლით აგებე?
7. იცვლიდა თუ არა ბინის მწერალთა კავშირის მიერ ფეჲლი ახალი სასოლი აწერებისას?

კიდე გეწავიო ამ მინტეტიესზე, მაგრამ მეტს ვეღარ გებდა: ძალიან ეთიუმო, სპირტოდ მიახსოლოთ მეტოყვებზე, რაჲ ვაგებე!

ბარნაბიონ ვაჲლუბაჲშვილი



გალაპიონ ტაბიძე

რა მეფე გველოია, რა მწიფრ, რა მდიდარი, იგი მზის ჭოლია, დარობს რამდენად. ეს ის როსტანია, — უგბროს ტანია, — დასაღოსტანია ვისიც ამირბარა.

გიორგი ლეონიძე

თავბუღსიანი, ქუდღეწვლიანი — მეფე როსტანია — ეფე, ხანარი, თოღლუბუქული, ნამდღრქვეული, დევი კასელი, ხმამაზუნა.

სიმონ ჩოგოვანი

ნამოფრეწვე ბურჩხა-ბურჩხა როსტანია, ტვანია თუ გრატის მტერი? ეჲბუქრად ჭოგრატს უჭერტეს როსტანია და ბერლინთან გატაღლუ მტერი...

ნიკოლოზ მოღვანისი

ჩიკოსი წიგნის გაჲს არაწობი, ასფლიტი ჩრდილებს იპარავს ფუნჯით. მე გარ კონსოლი, მაგრამ ფთილი? და სიფრეწვით იეჲლიტა ტვინი...

ღარამის კამოთავალი

ჩრმამაჲს: თანათანი ჩემი ზღღეწიფულ დასული მე, მისმან მწიფრედას. სწრაჲს: მე, დიდი მეფეო! (თავისთვის) მალე დაიმსწრევა კოლონიალისტის პორტულზე და ვეღარც თანათანი შეინარეწებს ტახტს...

უნიკო მოღვანისი

დაეწვლილი წიგნის მგავს როსტანია, ასფლიტი, მაგრამ დამგებოდეს იეჲზე: არ იეჲწეოდეს იეჲზე კონსოლი, და სიფრეწვით იეჲლიტა ტვინი...

ოპარის მოღვანალი

იყო არაბტის როსტანია, მეფე გერტისაგან დასული მე, მისმან მწიფრედას. სწრაჲს: მე, დიდი მეფეო! (თავისთვის) მალე დაიმსწრევა კოლონიალისტის პორტულზე და ვეღარც თანათანი შეინარეწებს ტახტს...

მოყვარული სვენარისი

ღმობრთი (სვენდანი და იღვლილი ხმით): დამიწო თუ ამბავი არაბტისა, სწორად იმ წუღს, როგა როსტანია მეფობდა არაბტისი. მე და ნანა ვეჲფეთი ზულაზან-ზარის ვეჲლუ და საოცრად გვიკვანდა: რატომ აეჭო თეგებებს ასეთი ნაღვლიანი თეგებები და რატომ არ შეიღება, რომ გული ამოეჭრათ და ისე ვიართო სტადრომზე?

შეკრება სმ-მამლამამ



გლოზა გვართებს, არ სიცილი...



ბაჲსა ბრამეს, ბაიყარეს, ჯალაგობა ბაათხელის.



აიტი უფრო დავაგებულა, არა ფულულთა მიაშიღა.

რვაასიოდე წელიწადია, ჩვენი პლანეტის ყველაზე დიდი თავები თავებს იტყვენ დამწყები; მაგრამ უდავოდ ნიჭიერი პოეტის ცხოვრების დასაუსტებლად. მეცნიერთა ლაშქარი ხატელებივით დაერია „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ჯერ ვერაფერი დააკლო. ათას კითხვაზე გაცემულია ათჯერ ათასი პასუხი, მაგრამ ერთი, ერთიანი პასუხი მაინც არ არის. და, აი, უცერად ცის ტატნობზე გაიფლვა ახალმა რუს-თველოლოგიურმა თანავარსკვლავედმა (ჯვებზე დუმბავა, ხარიტონ ხარაბაძე, დიდიმ პატარაია) და ჩვენ ვიხილეთ ნიჭიერი გენიოსის საიდუმლოებით მოცულ სამყაროში მათი ჯგუფური გაფრენა. მადლობა ღმერთს, შოთა რუსთაველს პატრონი გამოუჩნდა!

პირდაპირ დავდებ, შემეცნებითად აღვიქვი ყურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებული **ჯ. დუმბავას** ჟრუანტელისმომგვრელი პოლემიკური წერილი „ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო“ და მაშინვე თავში დამარტყა — **არც მე თავს უფლება ვღუშდე!**

ჯერ „ცოტა რამ“ საკუთარი თავის გარშემო: ვარ სოფლის არცთუ უდიდლომ ექიმი. ავადმყოფები არა მყავს. მე თვითონ პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, მედიკამენტები და წამალი არ არის, რის გამოც დრო ბევრია და რატომ უნდა ვათქმევინო შთამომავლობას: „შენლა აკლიხარ რუსთაველსო! აჰა, ბატონო, მეც!

მე, ერთი შეხედვით სოფლის უბრალო ექიმს, ხელთ მიპყრია გასაღები „ვეფხისტყაოსნის“ მიღმა არსებული გნოსეოლოგიური სქოლასტიკის, ინტერპრეტაციების, ასოციაციების, ორასოციაციებისა და რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად, რვაასოციაციამდე ყველა უთავბოლობისა. „ვეფხისტყაოსანი“ ზოგიერთებს არა აქვთ წაკითხული თავიდან ბოლომდე. მე კი წუხელ თავიდან ბოლომდე წავიკითხე ახლახან გამოცემული პატარა „ვეფხისტყაოსანი“.

დისპუტისა და მასთან დაკავშირებული პუტვა-გლეჯის წამომწყებმა — **ჯ. დუმბავამ** — „ცოტა რამში“ არც ისე „ცოტა რამ“ მისცა ჩვენს ერს დღემდე უცნობი და ჭკუიდან შესაშლელი. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ გურული კაცი ასეთ გამოჩენილ პიროვნებას შეელოა: **რუსთაველი არც მესხია, არც სპარსი და არც გურულიო** (აქ ხაზი მისია. სხვაგან კი ხაზები, წერტილები, მძიმეები და, საერთოდ, ყველაფერი ჩემია. **გ. დ.**)

პირკატა მეცა, რომ წავიკითხე, **შ. რუსთაველი დონელი კაზაკიაო**, მაგრამ ფაქტებით ჯიუტმა მკვლევარებმა პოემიდან უტყუარი მაგალითები მოიყვანეს: **გორლითა (Горлом), კაბანი (Кабан), აბელი (Обед), ბოლოს, პაშტაი (Постой)**. ამ უკანასკნელზე ეს უკანასკნელი შემდეგ განმარტებას იძლევა: **იმდროინდელ ქართულში „ს“ არ იყო და ამიტომ, „შ“-მ შეცვალა, მაშინ გავრცელებული იყო დიალექტის შიშინა ფენაო...** ჩვენ აღმოვაჩინეთ რუსული წარმოშობის ისეთი ნაღდი სიტყვები, რომ ამას არ უნდა „შიშინი“: **„განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნ ა ვ ა ნ ე ბ ი ს ა“**. (701-ე სტროფი). **ე. თ. „ვანა“** (აბაზანა) რომ მიიღო და ჭუჭყი რომ მოიცილა, თვალეში გამოიხედაო. **„მეფემან ბრძანა: „ხ ვ ა რ ა ზ მ შ ა, ხელმწიფე ხვარაზმელია“**. (511-ე სტროფი). აქ „ხვარაზმშა“ იკითხება მდებრობითი სქესად, როგორც, ვთქვათ, **„გენერალშა“**. ახლა მთლად ნაღდი: **„ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა ს პ ე ტ ა დ“**. (მე-500 სტროფი). ტარიელისთვის წნევას რომ დაურტყამს, ზაფრანის ფერი დადებია, ავთანდილს ხელი ჩაუქნევია და ასმათისთვის უთქვამს: **„Его песня уже спета“**-ო.

მე, როგორც ექიმი, განსაკუთრებით დამინტერესა „ვეფხისტყაოსანში“ მედიცინის პრობლემებმა. ბევრი ვექებე, მაგრამ პოემაში ვერ წავაწყდი ჯანგანებისა და საავადმყოფოების ფართო ქსელს. მიუხედავად ამისა, ხალხი, რატომღაც, მაინც უჩიოდა ავადმყოფობას — დავიწყეთ „მუნით“. **„წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნით ვე, შენე ქვე სით ა“-ს გამო ჯვებზე დუმბავა აყენებს გაბედულ პიროვნებას: ამდენი ტყე-ტყე ხეტილით ავთანდილს მუნე ხომ არ დაემართაო. ჩემთვის კი, ერთი შეხედვით სოფლის უბრალო ექიმისთვის, ეს უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. ფაქტები: „გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვილისა“; „მუნით ქალი გამოიჭრა გულ-**



-მღულარე, ცრემლ-დასხმული“; „ღმერთმან მუნამ დის მიწა მყოს, ვირ მეფე ვიყო ცნობილი...“ ექვი არაა, იმხანად საშინელი მუნე მძვინვარებდა.

საკუთრადღებოა, რომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ დიაგნოსტიკას: **„მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს?“**-ო. ახლა კი თავიდან დაწყებული ფეხის ტკივილამდე ყველაფერს გლანდებს აბრალებენ. ან: **„გაიგონენ ჭირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების“-ო**. ამაზე მაშინდელ აქიმებსაც, ახლანდელი ექიმებისა არ იყოს, მოსწრებულად უბასუსხნიათ: **„თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნებს“-ო**. ჩვენი არ იყოს, მაშინაც ყველაფერს ნერვებს აბრალებდნენ: **„წყენაო ჭირთა ბადე“**.

საკუთრადღებოა ისიც, რომ პრაქტიკაში მაშინაც ჰქონიათ კონსილიუმების მოწვევა: **„დარბაზს ვერ მივე; მკურნალთა დამიწყეს მოსლვა მრავალთა“**. ექვი არ არის, მაშინაც ბევრი ექიმის ხელში ავადმყოფი უფრო ადრე ეცლებოდათ ხელიდან; ამას მიდასტურებს მომდევნო სტროფიც: **„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა“**. ამ სტროფიდან ისიც ირკვევა, რომ ძველ დროში დასტაქარი ყოფილა ავადმყოფის მონა. ახლა კი პირიქითაა.

საკუთრადღებო მოსაზრებაა გამოთქმული 956-ე სტროფში: **„წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამხივნებს“**. ახლა კი ყველაფერზე იძახიან, სიმსივნეა და, არიქა, ოპერაციაო. დიდად ვერაფრით გაგვაკვირვებენ ჩვენი წინაპრები ფარმაკოლოგიის დარგშიც: **„წ ა მ ა ლ ს ა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა“; „მკურნალნი და დასტაქარნი წ ა მ ა ლ ს ა-ეე მოგიტანდეს?“, „...კვლა წ ა მ ა ლ ი არსით არი“** და სხვა და სხვა. წამალი, ჩვენი არ იყოს, მა-



სვეს და ჭამეს, რაცა ჭამა შეჰფაროდა მათსა ჰირსა, მას ღამესა ერთად იყვნეს, ერთად მიწვენს ხეთა ძირსა.



აჩის მებტა ნუტა ვნახავ კვლავლა ფიზნსა შენშიერსა.

შინაც საძებარი ჰქონიათ. მაშ, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ გენიალური შოთა „აწ ვეძებ მისთა წამალთა, ვიქმ იქით-აქათ ბრუნვასა“-ს შესახებ არცთუ შენიღბულად გადმოგვკრავს: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უვიცისა“-ო. ე. ი. რას დაბორილობ აქეთ-იქით, „ხამი“ ხომ არა ხარ, წამალი ხელზე უნდა ეძებო.

მეცნიერთა ერთ წრეს მიაჩნია, რომ პოემა შორეული ქვეყნებისა და შორეული დროის ამბებს აღწერს. ვინ მოგახსენათ? ქვეს ქვეზე არ ვტოვებ ამ მოსაზრებიდან. ინებეთ ფაქტები: „ნუ მიჰყოლიხარ თავისათათ ბირსა, გავგონებასა“; „თქვეს: „ვითათ ბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია“; „ეგეთათ ბირი არ ვარგა, სხვაებ ვქმნათ თავის ტერება“; ან: „აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“. სად, სად იციან ამდენი თათბირები და სხდომები, თუ არა ჩვენს საყვარელ მშობლიურ სამშობლოში?.. შემდეგ: „ესე საკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ლა-გვლენოდეს“. ეჭვი არაა, მაშინაც იყვნენ სახალხო რაზმელები. ამ ვერსიამ იმითაც ჩამითრია, რომ პოემაში წვრილმანი ხულიგნობის ბევრ ფაქტს წავაწყდი: „კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი“. მაშინ, ალბათ, ეს წვრილმანი ხულიგნობაში ვადიოდა. ან რა გუნებაზე დაგაყენებთ ასეთი გამოთქმა: „რა გვეახლო, ერთხელ „ვა“ და, რა მოგვშორდე, ათასჯერ „ვა““. ვფიქრობ, მეთორმეტე საუკუნისთვის ერთხელ „ვა“ საკმარისია, არათუ ათასჯერ „ვა“. „ვა“ და „ტო“ ხომ მეოცე საუკუნისაა... შემდეგ: „მამიდაი ქაჯი იყო“; „არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არი ფობასა“; „უბრძანა: „ვიტყვი უშენოდ შენისა უფრო მე ვასა“;

მდაა! საინტერესოა, როგორ „ევასათ“ ეს სტრიქონები მათ, ვინც პოემას შორეულ ქვეყნებსა და შორეულ დროს მიაწერს, ასე ხომ ჩვენი თანამედროვენი მეტყველებენ?


ახლა კი ზოგიერთ არცთუ ისე უმნიშვნელო სხვა პრობლემებზეც:
1. მე „ვეფხისტყაოსანში“ წავაწყდი ავტომატის კვალს: „არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა“. (1148-ე სტროფი). აქ „საბურავი“ შემთხვევით არ გაჩენილა (შემთხვევით საბურავს დღესაც ვერ წააწყდები კაცი).

2. მე აღმაშფოთა, ერთი შეხედვით უწყინარი და კეთილშობილი მანდილოსნის, ნესტან-დარეჯანის ინტუიტიურმა მოწოდებამ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონისადმი ახალი სამხედრო დაჯგუფების შესაქმნელად, ეგრეთ წოდებული სამთა ბლოკის შესაკოწიწებლად. ამ „ნაზი ქმნილების“ მილიტარისტულმა სწრაფვამ გამალებული შეიარაღებისა და რევანშისკენ. მკვლევართა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ამას ვაცხადებ შემდეგი სტრიქონის მიხედვით: „ქალი ომსა რაგვარ მიწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი“.

3. ბოლოს, ნამდვილი გადატრიალება რუსთველოლოგიაში: მე აღმოვაჩინე, რომ „ვეფხისტყაოსანს“ სადღაც, როგორღაც, რაღაცაში. დაახლოებით 1341-ე სტროფის მიდამოებში, აკლია მთელი სტრიქონი!!! აი, თვით 1341-ე სტროფი: „ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს. უსულოდ ქვემ-დე ბარესა“... აქ სადღაც შემახმენელიც უნდა ვეძიოთ.

სხვა მხრივ მე ჩემი მხრივ რუსთაველთან სადავო არაფერი მაქვს. გამაღლობთ ყურადღებისათვის!

გაიოზ დაუნინი



მიგრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა.



წახლა ჩემი ჰირნახული, ვერ მოვიმაკი, რატა ვთესი.

ქაინურელი შოთა

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღაწები“, კალმად კვლავ „ვეჩნი“ ვიხმარე, მელანსა შიგან ნაწები. სათქმელი „ლექსად გარდავთქვი“, რა ვქნა, სიმღერა მწადი: რომ არ ვიმღერო, ვით გავძლო, სიმღერის წელიწადია! ვზეიმობთ „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავებას და მძლეობას, ის შენ გამშვენებს, შენ — იმას, ორთავ მზეს მატებთ მზეობას. ნეტავ, ამ ზეიმს დავასწრო, კვლავ შენს გმირებთან შეგყარა, განახა, როგორ აყვავდა შენი კუთხე და ქვეყანა. დღეს კაცს ვერ ნახავ დარღვეილს, ყველა ხარობს და ირჯება, ზოგიერთს სესხად ფულს რომ თხოვ, მაშინ თუ დაიღრიჯება. ყველგან წესრიგი დამყარდა, — სანიმუშო და საჭირო, კაცმა რომ თავში ჩაგარტყას, გრცხვენია, გასაჩივრო. ძმა ძმისთვის პერანგს გაიხდის, დაუთმობს, ჰირშიც დაიცავს. ზოგი კი, შენ რომ არ მისცე, თვითონ გაგხდის და ჩაიცვამს. ტექნიკამ, ავტომატიკამ ისე გაიღვა ფესვები, რომ ლამის ჰონორარისთვის რობოტმაც წეროს ლექსები. მანქანა კაცს ცდის, ნიშანს წერს, არ ინდობს ძმას და ამხანავს, კაცი რომ იყოს, გალახავ, რას მოუხერხებ მანქანას?! მანქანა სინჯავს ავადმყოფს, მანქანა უსვამს დიაგნოზს, არ არის გამორიცხული, მან შენს საფლავსაც მიაგნოს. ქალი და კაცი გასწორდა, შენ რომ იმღერე შაირში, ტარიელი და ნესტანი ერთად შრომობენ ჩაიში; ესაა, შვილი არა ჰყავთ, არცა ძე, არცა ასული. ნამატითა და ნამრავლით სულ უკულმა ვართ წასული. ვაგლახ, ბევრი გვაქვს ამ ხაზით სავალალო და სახენეში: თითო ბაღანა დალოდავს მრავალბინიან სახლებში. ესა გვჭირს, რაც გვჭირს, რითაც გვჭირს, ვართ ამა საქმის მგმობელი, თუ ქალი შვილს არ გააჩენს, კაცი ვით გახდეს მშობელი?



წიგნი ზეპირი

წიგნი



ნახ. ბ. ლომიძისა

როგო კაცსა არ მიუხვებს საუბრად და მისად ჭკრეტად.

თავსა მართელსა რად შვიკრამ, ფულულსა ახლად რად იწყულულებ?

ნახ. ზ. შორენიძისა



„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის ახლებურად გაგების მიზნით, „ნიანგის“ რედაქციასთან არსებული საზრიანთა და მხიარულთა კლუბი, იგივე „კაპეინი“, აცხადებს კონკურსს.

გამოიცანით, ვინ ან რა იგულისხმა რუხთაველმა ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში?

1. გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.
(სცემიანო სცემიანო სცემიანო)
2. დატვირთული გავუგზავნე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა.
(სამსჯელსა დამსჯელსა)
3. სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მართო ასული.
(სამსჯელსა სცემიანო სცემიანო)
4. ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრად გნახეო.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
5. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
6. ძნელია პოვნა კაცისა, ღმრთივ სუცით განაწირისა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
7. მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
8. ზედ მიადგა, ჩაჰყოლა, ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
9. მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
10. შევექმენ სმა და ნადიმობა პატიჟთა და ზირთა მალედა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
11. აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
12. სააშვიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
13. რა გვეახლო — ერთხელ „ვა“ და რა მოგვშორდე — ათასჯერ „ვა“.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
14. ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო? — შექმნეს ამისი ცილობა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
15. მუნა კაცთა ვერ ჰნახვიდი გაცინებით მოლიმართა...
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
16. რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
17. არა დამხვდა კაცი ჩემი მოუბარი...
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
18. იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
19. დგომა მგზავრისა ცთომბა, კარგსა იქმს, თავსა სწვრთიდეცა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
20. დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრა კედელსა, შეაღწეწა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
21. შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელეზელი წყლულისა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
22. აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
23. მისთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებინან.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
24. დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
25. რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მაქვს მეცნიერობა.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
26. მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
27. იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)
28. ჯერ თქორწინებდა არა მცალს...
(სცემიანო სამსჯელსა სცემიანო)

სიტყვა, წარმოთქმული ქალთა მსოფლიო სიმოციონოში
(სტენოგრაფიკული ჩანაწერი)

ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენი მიზანი სულაც არ არის (ვლადიმერ ხვინაია) ჩვენი მგზნებარე რუსთაველიანობის — ჭეჭე ღუმბავას ნაშრომის დეტალური ანალიზი. ისედაც ზედმეტი იქნება გვირგვინი დიდებისა და სახელოვნებისა მას თავზე დაედგა, მაგრამ ჩვენ მის ნაშრომში თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ერთ მეტად არაობიექტურ განცხადებაზე, რომელზედაც მეცნიერმა კოლეგებმა თვალემა დახუჭეს და წაიყურეს, გარდა ხარიტონ ხარაბაძისა. იმანაც ისე, რა, ვითომ აქ არაფერიაო.

ჩვენი ბრძენი მკვლევარი თავის ნაშრომში 85-ე სტროფის რუსთაველისეულობას უარყოფს («**მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა**».) და «**შურაატყოფილი** აცხადებს: ეს შუესაბამობაა, კაბა რა კაცის საქმეა, კაბა ქალებს აცვიათო.

აქ კი გავკადნიერდები, ქალბატონებო და ბატონებო, და მოგახსენებთ, რომ ჩვენი გენიოსი მკვლევარი გადაღლილია. მას «**ვეფხისტყაოსნის**» შუა კითხვაში ძილი მოსძაღუბია და, რაღა დაგიძლიოთ, არა აქვს ბოლომდე წაკითხული. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენმა მკვლევარმა უნდა იცოდეს, რას წერს ჩვენი დიდებული მეგობარი 120-ე სტროფში: «**ლომი ლომია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია**» (დარბაზში ქალების კვილია). ე. ი. კაცი და ქალი ერთიაო. სამწუხაროდ, პატ. ჭეჭემ არც ის იცის, რას ამბობს ამაზე ჩვენი ქართული ენა. ენა ჭურია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს — ქართველ დედებს დედაცაქცა ეძახის, მამას — მამაქაცაქცა. ერთი სიტყვით, განსხვავება დიდი არაფერია. კაცები მამობით არიან კაცები, ჩვენ კი — დედობით. ეს ერთი და დმერთი! (**დარბაზში არ ცხრება ტაში, იგი გადადის ქალების კვილში**).

შემდეგ: იცნობს თუ არა ჩვენი მკვლევარი რუსთაველის ეპოქას? საქართველოს ძლიერებისა და კულტურული აღორძინების ეპოქას? ქართული რენესანსის ეპოქას? არა. მაშინ, იქნებ, იტალიურს გაისხენებს? მიქელანჯელოს (მამაქაცია), ტიციანს (მამაქაცია), რაფაელს (მამაქაცია). ჰოდა, ეს მამაქაცები მეფეთა დარბაზებში ფარჩის კაბებში და მანტიებში დაშარნიშურობდნენ. მათ კაბებს ღრმა დეკოლტები, ფრანგული ორგანტები და მაქმანის საყელიები ამშვენებდნენ.

მაშ, ჩვენს პატივცემულ მკვლევარს ტარიელის კაბა რად გაუკვირდა? ჩვენი ეპოქის მამაქაცს მით უმეტეს არ უნდა უკვირდეს არაფერი, როცა ხედავს, რომ დღეს ჩვენში ქალებს შარვლები აცვიათ. არ უნახავს ცხენზე გადამჯდარი, ანდა მორთოლოგზე შესკუპებული შარვლიანი ქალი? კეთილი! თუ ეს არ უნახავს, იაბონიაში მაინც არ ყოფილა? თუ არ ყოფილა, სურათზე დახატული კაბიანი იაბონელი მამაქაცია მაინც არ უნახავს?

ტარიელი კი არა და თვით ავთანდილიც არ არის მწყურაღად კაბასთან. ავთანდილი გადარეულია თინათინის სიყვარულით, მაგრამ მასაც ტარიელივით ენა აქვს ჩაფარდილი და თქმის ვერ უტყდავს. დიდის მთვარეულივით იმის სახლის წინ და ელის, ქალი როდის დაუძახებს. თინათინმა უცადა, უცადა და (ამასაც ქე უყვარს), რომ შეატყო რა ვაქაცაცაა, მონა გაუგზავნა (აბა, რა ექნა? ეშინოდა, ვითუ დაეკარგო კაცი და დავრჩე გაუთხოვარიო).

მივიდა მონა: «**ავთანდილს მიძვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა,**

აღდა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჳრელისა».

თინათინთან ზის ახლა ავთანდილი და შესციცინებს თვლებში. ეს უსინდისო ახლა იმასაც თხოვს, პირველმა შენ მითხარი, მიყვარხარო. თინათინი შეატყობს ამას და წამოიწყებს: გამიგონია, გიყვარვარ, მეც მიყვარხარ. ჰოდა, თუ გინდა მეტად მიყვარდე, ნუ ტირიხარ, ამას სჯობია, წადი და ის ყმა მომიძებნე, ამას წინათ ვეფხის ტყავში რომ ნახეო და დასძენს:

„**მერე მოდი, ლომო, მზესა შეგეურები, შემეყარე**».

ვეფქრობთ, ეს გაბედული სტრიქონი ყოვლისმთქმელია: თინათინს შარვლი აცვია, ავთანდილს — კაბა, ისიც ჳრელი (დარბაზში ოვაციებია. ქალები გაპივიან),

ბოლოს: არის თუ არა ასმათი ვაქაცაქცა, აცვია თუ არა შარვლი, როცა კაცებს (მერე და ვის? ტარიელს, ავთანდილს) გამოქვაბულებში დაჰყვება და ბოლომდე უმწიკვლო და უქნებელია? (**მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, ოვაციები. ამას უკვე მამაქაცები მართავენ**).

შემდეგ: არის თუ არა ტირილი მამაქაცის დამახასიათებელი კომპონენტი, თუ ტირილი მართო ქალებს სჩვევიათ? შორს რომ არ წავიდეთ, პელებსა და ეისებოს ბლაგილის მაგალითიც საქმარისია. მაგრამ ახლა ისევ «**ვეფხისტყაოსნის**» მიყვებით: მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ვერსად ნახავთ იმდენ მტირალა მამაქაცს, რამდენიც მართო «**ვეფხისტყაოსნისა**».

„**ნახეს უცხო მოყმე ვინმე, (კაბა ეცვა) ჳდა მტირალი წყლისა პირსა**» (თუ ნახვი ეღო ჳბეში ტარიელს და ძალით იტირებდა თავს?

როსტევიან მეფე შეიტყობს ავთანდილის გააპრვას და უნდა ნახოთ, რა ყოფაშია: ისე მოთქვამს, მეგრულ ქალსაც კი შეშურდება:

„**პირსა სოკით, წვერსა გლეჭით, გააკვირნა მისნი მჳერბტნი**».

„**იგლეჯს და იცემს ყველით, სმა ისმის თავსა ტაკისა**».

ეს კაცის საკადრისია? გულში მაინც იცემდეს ხელს ეს დალოცვილი! გულში ცემა ვაქაცის საქმეა.

ვეფქრობთ, ყოველივე ეს და ამისთანა ათი ათასი მაგალითი «**ვეფხისტყაოსნიდან**» საქმარისია იმისთვის, რომ ჩვენი ვარსკვლავი დარწმუნდეს თავის შეცდომებში და ციდან მიწაზე ჩამოეშვას. (**მჭუხარე ტაში**).

ისმება კითხვა: იქნებ შეცდომით განვადიდეთ ჩვენი ბრძენი მკვლევარი ჳვებე ღუმბავა, ანდა, იქნებ, ჩვენ ვცდებით. ვითუ, ვერ ვცნობთ მას. იქნებ კაბა მართლაც კაცის საქმე არის, შარვლი კი — ქალის? ბატონებო! ბრუნო ბრძენი იყო, მაშინ ის ვერ იცნეს და კოცონზე დასწვეს. (**ქალების სმა დარბაზიდან: «ოოოოა, ვაპატოთი შეეუნდოთ, შეეფუნდოთი არცოღანა — არცოღანა»**).

ჩემი გამოსვლა გენიალური შოთას სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ლომი ლომია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ და მეც მხარს ვუჭერ მას.

თქვენ ნუ მომიკვდებით, არაფერი ცოდვია, ქალი თუ შარვალს ჩაიცვამს, კაცი თუ კაბით ივლის: ეს ეგრეავემია, ბატონებო, ეგრეავემია, ემანისბაცია შეწმინ! (დარბაზში გაისმის ხმები: „ჩვენ გავვიმარჯვეთ!“ მჭუხარე ტაში. ქალები დგებიან, კალთებს იკრეფენ და ბუქანსა და ფერხულს უვლიან).

მისი რასმი მაადრებელი მოამდაზლა, მოაიფა.

გ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ ვ ვ ე უ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ბ. ლომიანი



მოხონადრიტე მიხონორი, ინი ტყენი და ლანინი, დახრთიტი მხანი, მონინიშენი, რასა ზე ბადამგვინი.

ჩამს სადირტაციო შრომაში გეუმუხანელი ფაქტებით არის დიდხელა...

„ღამარ იმე და მონინი...“ დავარი რომ დე იგი მეფისა, ეს ჩემი-ვის, როორც დისერტაციისთვის, რუსთაველის მითითების გარეშე...

და საუკრები მერთობა. მაგრამ, სანამ ამავს გავედრებულეთ, მანამდე...



„ე. ი. სვეს ჯერ ბრებობი, მერე დისტანციებით, ანუ „სტაჯებით“...“

„შინსა დიდხელა ხელმწიფისა უკანონო უმსხ, შინარასა...“

„შეშედეგა საციოთ: ფაქტინი პოლის (და არ მარტო ქალის) პირიანე...

კომპლექსური მუშაობა

რა გენა, რა წყალში ჩავაღრე, არაფრის თქმა არ მაქვს...

ყველას მოელოო ევონივარ, არ მივარებენ ცტახასაც...

„ამო, რომე კაცი კაცს ამისა ეუბნებოდეს! მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხლებოდეს!...“

ამს გვაწავლის მგოსანი, მოსმინა უნდა ნათქვამსა, მოსმენა უნდა, გენაცვია, ტყუილსაცა და მართლსაც!


ერთმა კამათის ე მკლარა, ასეთი ფრახიტი ჩამწილობა: „რა-სამგონისა მოსმინა არს უმეგვესი წმინტისა!“

გამოკვლევეში თუ შევედი, ავი რა დისაგეობია, პენსიონერი რომა ვარ, ახალგაზრდები მჭობია?!

ჩემი ხნის აღამაისა სიტყვი დაეცრება, მე გაღამიდა სუველა, სუველა მე მეტერება.

რა გენა, რა წყალში ჩავაღრე, ტყუილად ვერე ამდენი? თუ ეინმეს ჩამოვიკარდეთ, მოვადვდეთ თქვენი ვარდენი!

საუბარი პოპოზიციონი



მითა ღმერთმან ხენი მხმავსი ირთულად არა

მოხალინა.



ამბარა ძაჯნი უზრცონი რას ამხმევი, მიკვირს, ძალსა?!



რა ერთსა ბაგეფს ათასი, ეგობისა მოხეპიანა.

ხარლახმა ხანიმა

„სვეს ხელმწიფისა უკანონო უმსხ, შინარასა...“

რუსთაველის რუსიკონი

ჯგვამ დუმბავას მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს რუსთაველი დონედი კაზაკი იყოს, გამოეცალა რეალური საფუძველი: პალესტინის ჯვრის მონასტრის კედელზე შეთის საღებავით წერია „რუსთაველი“ და არა რუსთაველი. რუსთაველი მოთას ზედწოდებაა და ნიშნავს რუსთაველის შორის ვლას-(სიპარულს). ე. ი. შოთა რუსეთში სისტემატურად მოსიარულე ქართველი ყოფილა. რატომ დადიოდა ასე ხშირად რუსეთში, მკითხავთ თქვენ. შოთა ხომ თამარის მეჭურჭლეთუხუცესი იყო და იგი რუსეთში ბეწვეულსა და თვალ-მარგალიტს ყიდულობდა. ამიტომ ახსენებს პოემაში ტყავს (127-ჯერ) და მარგალიტს (221-ჯერ).

რაკი რუსთაველი რუსეთში დაიარებოდა, დონის ველებზე გაივლიდა, მაგრამ გზად გამეღვლი კაცი სხვაა და ადგილობრივი მკვიდრი — სხვა. ფაქტიც გენებათ? ინებეთ: „ფატმან მას ზედა იხარა მართ ვითა ია დონია“, — წერს პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ 1254-ე სტროფში. რას ნიშნავს ეს? ფატმანმა ისე იხარა (იმხიარულა) „მას ზედა“, როგორც მამ (Я) დონზე (Дон) ვიხარეთ. ე. ი. რუსებს დაუბატიყვებიათ ჩვენი მეჭურჭლეთუხუცესი და უპურმარილებიათ.

რუსთაველი რუსეთში ხშირმა სიარულმა თავისი დადი დაასვა „ვეფხისტყაოსანსაც“. პოემაში ბევრი რუსული სიტყვაა, რომელთა ნაწილი აღმოაჩინეს ჯგვამ დუმბავამ (პაშტანი — Постой, გორლოთა — Горлом); ხარიტონ ხარაბაქმ (კაბანი — Кабан, აბელი — Обед) და ბ. ლაშინაშა (ნაპანაში — აბაზანაში დეპული, ხვარაზმში და სპეტი). მაგრამ ამაზე ხომ არ უნდა შევჩერდეთ? მე გაგაგრძელე მათი დაწყებული საქმე და „ვეფხისტყაოსანში“ აღმოვაჩინე კიდევ რამდენიმე რუსული სიტყვა. გთავაზობთ ჩემი აღმოჩენილი რუსიციზმების ქართულ თარგმანს:

1. შინა ბინდა, მამა მინდა გაუყვამდლა დენი ხლმაპ (1095-ე სტრ.), ე. ი. შენი პური (Хлеб) შენც ვინდა და მეც მინდა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, აღნიშნული სტრიქონი ასეთ სახეს მიიღებს: შენ რომ პური გაქვს, გაუტყვალად (გაუწყვედლად) მომეცი და პატარას შენც მოგიტყხო.
2. ფრიდონ — გუბი, რომელმან შეპყნა სისხლისა გუბია. (1607-ე სტრ.). გუბი (Губы) წმინდა რუსული სიტყვაა და ქართულად ტუჩებს ნიშნავს. ეს სტრიქონი ასე უნდა გაგვივით: ფრიდონს ბრძოლაში ტუჩები დაუსკდა და სისხლი სდიოდა (ფიგურალურად: ფრიდონს სისხლისფერი ტუჩები აქონდა).
3. გუბა აღარ გუმობს ჩვეთაშა, დარი არ დარობს დარულად. დარი (Дар) არც მეტი, არც ნაკლები, ძღვენი. მაშინ აღნიშნული სტრიქონი ასე წაკითხება: ჩვენთან ძღვენი (იგივე ქრთამი) არ ძღვენიობს (არ ვაძლავს) და ამის გამო მუდამბნებულელები ვართო.
- სიტყვა Дар-ი გვხვდება 338-ე და 222-ე სტროფებშიც.
4. მხიარულმან საბოძარი გავეს, ზამი ბაადილეს. (386-ე სტრ.). ე. ი. მე საბოძარი (ქრთამი) მივეცი და ჩემი ზამი (Зам), ანუ მოუღბილმ, გაადიდეს, უფრო დიდ თანამდებობაზე გადაიყვანეს. (დაუწინაურებიათ).
5. ფრიდონს უძღვეს მხრატაბაკი მარგალიტი თავ-შედეგული. (1559-ე სტრ.). ტაბაკი (Табак) თუთუნია, ცხრა — 9-ა. ე. ი. ფრიდონისთვის ცხრა (9) კვერცი (შეიძლება კილოგრამიც) თუთუნის ურეუბიათ.
6. რა მიფრან უმეს წინა სვა მრავალი დოსტაქანი. (1166-ე სტრ.). ყურადღება მიაქციეთ დოსტაქანს. აქ დო-ც (До) რუსულია და სტაქანიც (Стакан). სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, გამოდის პიტამდო, მაგრამ მაშინ სტრიქონს აზრი ეკარგება. მაშ, რა ვქნათ? ფიგურალურად უნდა გავიანოთ და დამოკლებაც გადალახულია: მეფემ, რომელიც უსენის წინ იჯდა, მრავალი სადღებოდელი წარმოთქვა (მეფემ, რა თქმა უნდა, თამადა იქნებოდა) და ყველა პიტამდო მოლოდინს დატოვა.
7. საყვარელისა მისისა ქალი ჰყავს თანა ნახლმაპი. (690-ე სტრ.). „ნახალ“ (Начал) ქართულად თავსებადი, „ნახლმაპი“ — თავსებადი, ე. ი. მისი საყვარლები ყველანი თავსებადნი იყვნენ.
8. მონამან წინი მომტანა, მე წავიბოთხე ნეპასა. (364-ე სტრ.). ნეპასა (Небеса) ცაა. ე. ი. მონამ წინი მომტანა და ცაში აფერინდი, ცას ვეწიე სიხარულითო.
9. Небо-ს კვალს მივაგენით 99-ე და 105-ე სტროფებშიც.
10. მამლეთაშის წყარო ლინისა, სხან დის, მხაპასი მილისა. (1552-ე სტროფი). მილო (Мыло) საპონია. ე. ი. საპონის მსგავსი, ანუ აქაფებული ღვინის წყარო ასგან დიოდო.
11. მხანსა კამი გაკვეთილი მან დიპურად მარდაპკიდი. (448-ე სტრ.). დიპი (Дипкий) მელურს, საჯარულს ნიშნავს. ე. ი. გაკვეთილი კაცი საჯაროდ გადავიდე ცხენსო.
12. 611-ე სტროფში არის რუსული სიტყვა Кот (პოტანა), 686-ში — Нам (ნამა), მე-100-ში — Вам (ვამი, ვამსა), მე-4-ში — На (ნა), 1026-ე და 1340-ე სტროფებში — Сало (სალმინსა, სალამან), 1026-ე და 708-ე-ში — Сам (სამ).

რუსული სიტყვების აღმოჩენა „ვეფხისტყაოსანში“ უსასრულოდ შეიძლება, ოღონდ ამისთვის პოემის გულდასმით წაკითხვა საჭიროა.



ღვთისა უმეფარე, ნუთუ კვლა
დამხნას სოფლისა შრომასა.



ბაქო, ვით ბაქო, რა ბაქო,
არ-საქებლო სმენითა.

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბავა**.
სარედაქციო კოლეგია: **ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნაიძე, ნ. შველიძე, ა. ჭელიძე.**
საქ. კმ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, ხაერთა განყოფილების — 3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 1/IX-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფენიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კმ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3023 უფ 11413 ტირაჟი 52000



60-001
თარგმნილი
საბავშვო

ИНДЕКС 76317